

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიში

პატივცემულო კოლეგებო,

გულითადად მოგესალმებით და წარმოგიდგენთ საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად. როგორც მოგეხსენებათ, საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის), „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საკრებულოს მიერ გაწეულ მუშაობის ანგარიშს, რომელიც მოიცავს საანგარიშო პერიოდს 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე. ანგარიშში მიმოხილულია საკრებულოს ბიუროს, თითოეული კომისიის, ფრაქციის, საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობა, თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა და სხვა.

როგორც მოგეხსენებათ, 2014 წლის 15 ივნისს, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 31 დეპუტატის შემადგენლობით. მათ შორის მაჟორიტარი – 16, პროპორციული სისტემით – 15 საკრებულოს წევრი („ქართული ოცნების“ პარტიული სიით არჩეულ იქნა - 9, „დავით თარხან-მოურავი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 3, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 2, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ -1 წევრი). საკრებულოს წევრთაგან 26 მამაკაცია (83,9%), 5 დეპუტატი ქალი (16,1%). უმაღლესი განათლებითაა საკრებულოს 26 დეპუტატი, ტექნიკური განათლებით - 5 დეპუტატი.

ამავე სხდომაზე კანონმდებლობის შესაბამისად, არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიერ შემუშავებული წინადადებების და შენიშვნების გათვალისწინებით, თითოეული დეპუტატის მოსაზრებების წარმოდგენისა და მონაწილეობის შემდგომ საკრებულომ მიიღო დადგენილება საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. როგორც მოგეხსენებათ, რეგლამენტი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას, სტრუქტურას, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირთა უფლება - მოვალეობებს, მუშაობის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს.

რეგლამენტის პრაქტიკაში გამოყენებამ დაგვანახა მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება, ამის ერთ-ერთი მიზეზი ასევე გახლდათ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ და სხვა დარგობრივ კანონებში შესული ცვლილებები, ამასთანავე საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილი წინადადებები და სურვილები შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. მართალია ჩვენი ანგარიშის პერიოდს სცილდება, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ დღესდღეობით დასრულებულია რეგლამენტში ცვლილებების შეტანა და რედაქტირებულ, დამტკიცებულ რეგლამენტში მაქსიმალურად ვეცადეთ ამ შენიშვნების გათვალისწინებაც.

იმისათვის, რომ უფრო ცხადი გახდეს თუ როგორ შევძელით კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება, გთავაზობთ მოკლე ანალიზს.

თავდაპირველად უმჯობესია აღინიშნოს, რომ საკრებულოსა და გამგეობას შორის ჩამოყალიბდა საქმიანი, კოლეგიალური, ხალხზე ორიენტირებული ურთიერთობა. როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობა ღია და საჯაროა. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 24 საკრებულოს სხდომა (მათ შორის 11 რიგგარეშე) და საკრებულოს ბიუროს 14 სხდომა.

საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა სამართლებრივი აქტები: დადგენილებები, განკარგულებები, ბრძანებები. გამოცემულ იქნა საკრებულოს დადგენილება –66, მათ შორის: 2014 წელს – 34, 2015 წელს – 32; საკრებულოს განკარგულება – 149, მათ შორის: 2014 წელს – 83, 2015 წელს – 66; საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება - 157, მათ შორის: 2014 წელს – 87, 2015 წელს – 70 და ა.შ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაში მეტად მნიშვნელოვანი როლი აკისრია საკრებულოს ბიუროს, რომელიც, როგორც თქვენთვის ცნობილია, შედგება მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კომისიების და ფრაქციების თავმჯდომარეებისაგან. სწორედ ბიუროს მიერ ხდებოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის დაგეგმვა, მორიგი სხდომის დღის წესრიგისა და მომხსენებლების განსაზღვრა, იგი კოორდინაციას უწევდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას; განიხილავდა სხდომაზე გასატან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებსა და წინადადებებს, ისმენდა მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ანგარიშებს და ა.შ;

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამდებობის პირებმა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის განკუთვნილ თანხებზე უარი განაცხადეთ, რაც ვფიქრობთ ბიუროს წევრების მხრიდან საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. აღნიშნული თანხები ხმარდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

საკრებულოში საკითხის წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით შექმნილია საკრებულოს კომისიები. როგორც იცით საკრებულოში მოქმედებს შემდეგი კომისიები:

1. სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია -/თავმჯდომარე რომან ბიწაძე/;
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - /თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი/;
3. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - /თავმჯდომარე გიორგი ჩახვამე/;
4. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - /თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე/;
5. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - /თავმჯდომარე ია ჩხაიძე/;

კომისიები, დარგების მიხედვით აკონტროლებენ გამგეობის შესაბამისი სამსახურების საქმიანობას, ისმენენ მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, შეიმუშავენ სათანადო

რეკომენდაციებს, დასკვნებს და წარმოდგენენ წინადადებებს. ამ კუთხით კომისიებმა გასულ წელს გარკვეული მუშაობა გასწიეს. სულ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 81 სხდომა, მათ შორის 2014 წლის მეორე ნახევარში 43, ხოლო 2015 წლის 14 ივლისამდე 38 (გასვლითი სხდომა - 6, გაერთიანებული სხდომა - 3).

რაც შეეხება თითოეული კომისიის საქმიანობას, შედარებით მოკლედ გაგაცნობთ მათ მიერ გაწეულ მუშაობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია** საკრებულოს სხდომებზე მთავარ მომხსენებლად 46 შემთხვევაში იყო, ხოლო საკრებულოს ბიუროს სხდომებზე 32-ჯერ. უშუალოდ კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 66 საკითხი, ამთგან მათ მიერ მომზადებული 16 საკითხი. კომისიამ შეიმუშავა საკრებულოს მიერ დამტკიცებული 6 ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტი.

კომისიამ ასევე შეისწავლა და მიიღო შესაბამისი დასკვნები სხვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც საკრებულოს სხდომებზე არ გასულა განსახილველად. მათ შორის შეიძლება აღინიშნოს რამოდენიმე, მაგალითად: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით განხილულ იქნა სამი შემთხვევა, კომისიის მიერ დადებითად გადაწყდა ორი. გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისთან დაკავშირებით კომისიაში შემოსული იყო 2 რეკომენდაცია-მოთხოვნა, მათგან დადებითად გადაწყდა 1 საკითხი. ამასთანავე კომისიის მიერ შესწავლილ იქნა სხვადასხვა საჩივარ-განცხადებები, რომლებიც რეაგირებისთვის გადაეგზავნა შესაბამის ადრესატებს.

კომისიის მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტებიდან აღსანიშნავია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის მინიჭების წესი“, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი“, „ქუჩების, სკვერების, მოედნების, მრავალბინიანი სახლების, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესი“ და სხვა.

კომისიის დავალებით, კომისიის თავმჯდომარემ გამართა ოფიციალური შეხვედრები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლების- ნიგოთის, შუხუთის, მაჩხვარეთის და სუფსის მოსახლეობასთან. შეხვედრებზე განხილულ იქნა ცალკეული სოფლის და მთლიანად მუნიციპალიტეტის საჭირობოროტო საკითხები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის** მიერ საანგარიშო პერიოდში მოწვეულ იქნა 18 სხდომა საკრებულოს რეგლამენტის და კომისიის დებულების დაცვით, რომელზეც მოსმენილ და განხილულ იქნა როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე 88 საკითხი.

კომისიამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით გამართა საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში, ამავე მიზნით, შეხვედრები გაიმართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებთან, საზოგადოებრივ დარბაზთან და მაჟორიტარ დეპუტატებთან.

აღნიშნული შეხვედრების საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ 2015 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით კომისიამ წარმოადგინა უარყოფითი დასკვნა, ასევე სხვა კომისიებიდან შემოსული წინადადებების საფუძველზე ბიუჯეტის პროექტი დაუბრუნდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შემდეგი შენიშვნებით:

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში გაზრდილიყო დაფინანსება სკოლამდელ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, მათი ფუნქციონირების სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.

- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში გაზრდილიყო კულტურის ცენტრის დაფინანსება.

- 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ყოფილიყო ქალაქ ლანჩხუთის კეთილმოწყობის ხარჯები.

- 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში მოწესრიგებულიყო საკრებულოს აპარატში, მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმებულ პირთა და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა შრომითი ანაზღაურება.

გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთობლივი მუშაობის შედეგად აღნიშნული შენიშვნების ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში, რის შემდეგაც საკრებულომ მხარი დაუჭირა გამგეობის მიერ წარმოდგენილ შესწორებულ ვარიანტს.

2015 წლის იანვრიდან კომისიამ, შემდგომ კი საკრებულოს ბიურომ მოისმინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშები. პრაქტიკაში დაინერგა გასვლითი სხდომების ჩატარება, რომელზეც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად განხილულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში:

2014 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა შემოსავლები საგადასახადო, არასაგადასახადო და არაფინანსური აქტივების კლებიდან 1 784 155 ლარი, რაც გეგმის 98.5%-ს შეადგენს, აღნიშნული თანხა 2013 წელთან შედარებით 239 206 ლარით მეტია. შემოსავალი ფინანსური დახმარების /ტრანსფერების/ სახით მიღებულია 11 805 754 ლარი, 2013 წელთან შედარებით 667 603 ლარით მეტი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5 687 400 ლარი, წინა წელთან - 1 322 930 ლარით მეტი, მიზნობრივი ტრანსფერი ჩარიცხულია 220 000 ლარი, შემოსავალი სპეციალური დანიშნულების ფინანსური დახმარების სახით მიღებულია 5 898 354 ლარი, მათ შორის სოფლის პროგრამების მხარდაჭერის დასაფინანსებლად 819692 ლარი, ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად 3078657 ლარი და 2014 წლის სექტემბერში მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებისათვის 2 000 000 ლარი.

2014 წელს გაწეული იქნა 11 340 429 ლარის ხარჯები, აქედან შრომით ანაზღაურებაზე გაიხარჯა 1 729 622 ლარი, რაც გაწეული მიმდინარე ხარჯების 22.5%-ს შეადგენს, ა(ა)იპ-ებს სუბსიდიის სახით ჩაერიცხათ 4 396 204 ლარი, ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯის 57.2%, მუნიციპალიტეტის

ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე მიიმართა 3 623 743 ლარი ბიუჯეტის მთლიანი ხარჯის 31.9%.

ბიუჯეტით განსაზღვრული პარამეტრები შემოსავლით ნაწილში არ იქნა შესრულებული, კერძოდ:

- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შესრულდა მხოლოდ 23,4%-ით, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ხოლო შემოსავლები არაფინანსური აქტივების კლებიდან შესრულდა მხოლოდ 41%-ით, რაც ასევე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს. რაც შეეხება მიმდინარე ხარჯვით ნაწილს, ბიუჯეტში გაუხარჯავი დარჩა 219 940 ლარი: აქედან მუნიციპალიტეტის გამგეობას გაუხარჯავი დარჩა - 145 306 ლარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 33 823 ლარი. გარდა ამისა 40 811 ლარი გაუხარჯავი დარჩა სოციალურ პროგრამებში, რაც კომისიის წევრების მოსაზრებით უმჯობესი იყო გადატანილიყო ერთჯერად დახმარებებში, რადგან ამ მუხლში განცხადებების გარკვეული ნაწილი დარჩა დაუკმაყოფილებელი.

- სამსახურების რეორგანიზაციისა და ტერიტორიული ერთეულების ლიკვიდაციის შედეგად დათხოვნილ მუშაკებზე არ მოხდა სრულყოფილად საკომპენსაციო თანხის გაცემა.

ამა წლის ივლისის თვეში ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე მოსმენილ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების მიერ გაწეული 6 თვის მუშაობის ანგარიშები. მოსმენის დროს გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, განსაკუთრებით ფინანსური კუთხით. მათი უმრავლესობა მოითხოვდა დამატებით დაფინანსებას, როცა დაფინანსება წინა წელთან შედარებით მკვეთრად გაეზარდათ, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელთა განმარტებით ბიუჯეტით გამოყოფილი თანხები ფუნქციონირებისათვის არასაკმარისი იყო.

როგორც საკრებულოს თითოეული წევრისათვის ცნობილია, დაფინანსების კუთხით კიდევ უფრო რთული მდგომარეობა აქვს ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ - ლანჩხუთის გურიას“. მიმდინარე წელს ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა 1 040 000 ლარი კლუბის მიერ სრულადაა ათვისებული, ასევე დამატებით იქნა გამოყოფილი 470 000 ლარი, რაც მიმდინარე სეზონში გუნდის ფუნქციონირებისათვის არასაკმარისია. ამასთან კლუბს ერიცხება წინა წლების საბანკო დავალიანება 500 000 ლარზე მეტი. ასეთ პირობებში კლუბის არსებობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

მძიმე სიტუაციაა ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ცენტრში“. საკრებულოს მიერ რეორგანიზაციაზე თანხმობა მიცემული იქნა იმ მოტივით, რომ აღნიშნული რეორგანიზაციის შედეგად მივიღებდით გარკვეულ ეკონომიკურ ეფექტს და ამ დარგის მართვის ოპტიმალურ მოდელს. 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ აქვს დეფიციტი 92 650 ლარის ოდენობით, ამჟამად როგორც თქვენთვის ცნობილია ა(ა)იპ „კულტურის გაერთიანებათა ცენტრში“ მუშაობს სპეციალური კომისია.

ა(ა)იპ-ების 6 თვის მუშაობის ანგარიშების მოსმენის შედეგად გამოვლინდა, რომ საჭიროა შეიცვალოს მიდგომა, კერძოდ, ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს საფინანსო წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში მათზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელება.

გარდა ამისა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ და საკრებულოს ბიურომ მოისმინა 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში, 2015 წლის ექვს თვეში ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავალმა 906 956 ლარი შეადგინა, რაც დაგეგმილი წლიური შემოსავლის 48.8%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 4 076 757 ლარი, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 3 565 600 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი 109 800 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დასაფინანსებლად 271 811 ლარი, საქართველოს რეგიონებში გასახორციელებელი პროექტების ფონდიდან 129 546 ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაწეულია 7 117 378 ლარის ხარჯი, მათ შორის შრომით ანაზღაურებაზე 745 988 ლარი /გაწეული მიმდინარე ხარჯებს 16.4%/, შტატგარეშე მუშაკების დაფინანსებაზე 49 900 ლარი /ხარჯების 1.1%/, ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 2 562 255 ლარი /ხარჯების 36%/, ა(ა)იპ-ების დაფინანსებაზე მიმართულია 3 109 919 ლარი /ხარჯების 43.7%/.

უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, რაც დასტურდება იმითაც, რომ წლის პირველ ნახევარში აღებული ყველა ვალდებულება შესრულებულია. მიუხედავად ამისა, ივლისის თვეში ბიუჯეტში შეტანილმა ცვლილებამ, რომელმაც ბიუჯეტი გაზარდა 702 800 ლარით, დაძაბა როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვითი ნაწილი. საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების გატარება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ, რადგან არ დარჩეს ბიუჯეტით აღებული ვალდებულებები დაუფინანსებელი.

2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ბიუჯეტის პარამეტრები დროულად იქნეს განხილული და ვალდებულებები აღებულ იქნეს რეალური შემოსულობების საფუძველზე. ასევე გაუმართლებელი შემოსავლების დაგეგმვის ხარჯზე არ მოხდეს ბიუჯეტით დამატებითი ვალდებულებების აღება, რაც გამოიწვევს საბიუჯეტო პროცესის დარღვევას. ბიუჯეტის პარამეტრების და პრიორიტეტების დაგეგმვისას მომავალი წლის ბიუჯეტი უფრო სწორად და მიზანმიმართულად უნდა იქნეს განსაზღვრული.

**პატივცემულო კოლეგებო, უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია ერთ-ერთი წამყვანი კომისიაა საკრებულოში. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში ძალიან დიდი თანხები იხარჯება ინფრასტრუქტურული თუ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სამუშაოების შესასრულებლად, სწორედ ამიტომ ინფრასტრუქტურის კომისიის ხელმძღვანელისა და წევრების აქტიური მონაწილეობით, მთელი წლის განმავლობაში ხდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე სამუშაოების შემოწმება, მათი დასურათება და განხილვა.**

2014 წლის 14 ივლისიდან დღეის მდგომარეობით კომისიას ჩატარებული აქვს 16 სხდომა, აქედან ერთი გაერთიანებული კომისიის სხდომა ჩატარდა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასთან ერთად, ხოლო ერთი გასვლითი სხდომა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში. კომისიის გასვლით სხდომას ესწრებოდა სოფლის ადგილობრივი მოსახლეობა. განხილულ იქნა თემისათვის საჭირობო ინფრასტრუქტურული საკითხები, ასევე ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაყვანის მოწესრიგებისათვის საჭირო წესის შემუშავების საკითხები.

აქტუალურობიდან გამომდინარე, მინდა უფრო ვრცლად შევეხო მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. საკრებულოს შესაბამისი კომისია და მისი წევრები საანგარიშო პერიოდში აქტიურად მონაწილეობდნენ მათ განხორციელებაში. საკრებულოს ფუნქციონირების დაწყების დროისათვის უკვე დამტკიცებული იყო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების ნუსხა. გზის შეკეთების სამუშაოები დაწყებული იყო გვიმბალაურისა და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია, აღნიშნული თემების მაჟორიტარ დეპუტატებთან, გამგეობის შესაბამის სამსახურებთან ერთად, აწარმოებდა სამუშაოების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას. ქალაქ ლანჩხუთში, შვიდ ქუჩაზე მიმდინარეობდა გზის შეკეთების სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ (შპს „ჯი-აი-დი“) სამუშაოები არ იქნა წარმოებული ხარისხიანად და არსებული ხელშეკრულების პირობების დაცვით, რის გამოც გამგეობის მიერ გაუქმებულ იქნა ხელშეკრულება. განმეორებითი ხელშეკრულება გაფორმდა შპს „სამკუთხედთან“, რომლის მიერაც სამუშაოები წარმატებით იქნა დასრულებული 2015 წლის აპრილის თვეში. ამავე ფონდის დაფინანსებით საანგარიშო პერიოდში საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა მამათისა და ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში, წყალმომარაგების სამუშაოები შესრულდა სოფელ ჯაპანაში.

სამუშაოების დასრულების შემდეგ მიღებული ეკონომია განაწილებულ იქნა საკრებულოს სხდომაზე. ეკონომიის თანხებით შესრულდა სოფელ გრიგოლეთის გარე განათების, სოფელ მამათში ბიბლიოთეკის ოთახებისა და ჯიხეთის დედათა მონასტერთან მისასვლელი გზის შეკეთების სამუშაოები.

2014 წლის ოქტომბრის თვეში საკრებულომ გამგეობასთან ერთად დაიწყო მუშაობა მუნიციპალიტეტის 2015-2017 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მოსამზადებლად. სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტები განხილულ იქნა დარგების მიხედვით შესაბამის კომისიებში, გეგმის საბოლოო განხილვა მოხდა გაერთიანებული კომისიების სხდომაზე და შესათანხმებლად წარედგინა საკრებულოს, შეთანხმების შემდეგ სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცდა რეგიონალურ საბჭოს სხდომაზე.

2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა დამტკიცდა საკრებულოს სხდომაზე. პროექტების შერჩევის დროს საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად ხვდებოდნენ საკუთარ ამომრჩევლებს, რათა მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ლიმიტის გათვალისწინებით, პროექტების შერჩევის დროს მაქსიმალურად გათვალისწინებულიყო მოსახლეობის ინტერესები. გადაუდებლად მოსაგვარებელი პრობლემების შესწავლის მიზნით, საკრებულოს წევრები ატარებდნენ გასვლით სხდომებს. პრობლემების სირთულის გათვალისწინებით საკრებულოს სხდომაზე პირველ პრიორიტეტად განსაზღვრულ იქნა სუფსა-გულიანის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 3 000 000 ლარით. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩოჩხათის ადგილობრივი მოსახლეობის, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, ასევე ცენტრალური ხელისუფლების დიდი მხარდაჭერა, შერჩეულია შემსრულებელი, სამუშაოს შესრულება დაწყებულია და დასრულდება 2017 წლის ბოლოს. ქალაქ ლანჩხუთში მიმდინარეობს სამი ქუჩის რეაბილიტაცია, ხოლო გზის შეკეთების სამუშაოები

მიმდინარეობს სოფელ მამათსა და გვიმბალაურში. წყალმომარაგების სამუშაოები დაწყებულია მუნიციპალიტეტის რვა სოფელში.

საკრებულოს მიერ 2015 წლის ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გრიგოლეთის საწვრთნელი ბაზის რეაბილიტაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით გამოყოფილ იქნა 358 887 ლარი. აღნიშნული თანხით საწვრთნელი ბაზის ტერიტორიაზე ჩატარდება სასტუმროს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოფელ მაჩხვარეთში, აკეთში, წყალწმინდასა და ჯურუყვეთში დაწყებულია საბავშვო ბაღების მშენებლობა - რეაბილიტაციის სამუშაოები. შესაბამისი თემების მაჟორიტარი დეპუტატები აქტიურად აკვირდებიან სამუშაოების მიმდინარეობას. ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას პერიოდულად იხილავს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში შეუძლებელია მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ყველა მწვავე პრობლემის ერთდროულად გადაჭრა. რამდენიმე სოფელში კვლავ მოუგვარებელია მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემა, მოსაწესრიგებელია შიდა სასოფლო გზები, რისთვისაც აუცილებელია დამატებითი სახსრების მოზიდვა.

საკრებულოს წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ 2014 წლის სექტემბრის თვეში მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაში. სტიქიის პერიოდში გამგებლის წარმომადგენლების, საკრებულოს წევრების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად მიმდინარეობდა სოფლებში არსებული დაზიანებების მოკვლევა და სტიქიის შედეგების შემსწავლელი კომისიისათვის მიწოდება. საკრებულოს კომისიის სხდომაზე დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ პირველ ეტაპზე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი 2 000 000 ლარის განაწილება. გამოყოფილი თანხით 48 ობიექტზე ჩატარდა გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოები. ხდებოდა ამ ობიექტების დათვალიერება სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში.

მიმდინარე წელს 2014 წლის სექტემბრის თვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი იქნა 2 600 000 ლარი. საკრებულოს მიერ დამტკიცებულ იქნა აღნიშნული თანხით შემდეგი პროექტების დაფინანსება: აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრის მოწყობა, ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ წყალწმინდაში შიდა სასოფლო გზაზე სახიდე გადასასვლელის მოწყობა, შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის აღდგენითი სამუშაოები და სანიაღვრე არხების გაწმენდა, აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის უკანა მხარის დამეწყრილი მონაკვეთის და ამ მონაკვეთზე არსებულ საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. მიმდინარეობს აღნიშნულ სამუშაოებზე ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული სამუშაოები დაწყებულია.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად იყო ჩართული 2015 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტების შერჩევის პროცესში. მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 817 447 ლარი. თითოეული სოფლის მიხედვით განსაზღვრული პროექტები შერჩეულ იქნა სოფლის საერთო კრებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოები ყველა სოფელში ხარისხიანად მიმდინარეობს.



მიუხედავად აღნიშნული დადებითი მომენტებისა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვაში მოსახლეობის ჩართულობა ცალკეულ შემთხვევებში არის სიმბოლური-მხოლოდ დოკუმენტაციის შესაქმნელად. მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის რაში უნდა დაიხარჯოს მათი სოფლებისათვის გამოყოფილი თანხები.

მიგვაჩნია, რომ აუცილებლად და დროულად უნდა მოხდეს გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მიერ დეფექტური აქტების შედგენა, მომზადება, შემდეგ მისი დაპროექტება. პროექტირების დასრულების შემდეგ, შესრულებულმა პროექტმა აუცილებლად უნდა გაიაროს ექსპერტიზა, რევიზია, რათა შემსრულებელს არ შეექმნას პრობლემები მოცულობებთან დაკავშირებით. აღნიშნული ქმედება საჭიროა, რადგან ასეთი ფაქტები მრავლად ფიქსირდება სხვადასხვა პროექტებში, რომელიც იწვევს უმრავლეს შემთხვევაში შემსრულებლის დაზარალებას ან მოქმედებს ხარისხზე. ასევე მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა, შესრულებული სამუშაოების მიმდებმა კომისიამ და ზედამხედველობის სამსახურმა ყურადღება უნდა მიაქციოს ფარული სამუშაოების შესრულებას და მოხდეს მისი დასურათება, ხოლო სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა მიაღწეოს თვალი მუნიციპალიტეტში მიმდინარე თუ დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

მინდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობას დიდ ყურადღებას აქცევს როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური, ასევე საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები, მაჟორიტარი დეპუტატები, გამგებლის წარმომადგენლები, ეს ფაქტი კარგია და მისასალმებელი, მაგრამ ყველას ვთხოვ, ვაფრთხილებ რომ „ზედმეტი“ ყურადღება, ჩართულობა არავინ გამოიჩინოს, რადგან ერთი კონკრეტული ფაქტიც კი ვინმეს შეიძლება ძვირად დაუჯდეს.

**კოლეგებო, რაც შეეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას,** ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს 17 სხდომა. მათ შორის ორი გაერთიანებული საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად. განხილულია 82 საკითხი, შემოსულია 52 და გაგზავნილია 35 წერილი, ყველა წერილზე გაკეთებულია რეაგირება და გაცემულია შესაბამისი პასუხები. მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა, დეპუტატები მუშაობენ გუნდურად, ეს კი დადებითად ისახება კომისიის საქმიანობაზე. კომისიის წევრები გაწევრიანებული არიან სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებში, მათ მიერ ყოველთვიურად საკუთარი სახსრებიდან ხდება თანხის შეგროვება, რომელიც მიზანმიმართულად ნაწილდება მოქალაქეების დასახმარებლად.

კომისია დაეხმარა ჩოჩხათის თემის სოფელ გულიანში მცხოვრებ ჭუმბურიძეების მრავალშვილიან ოჯახს საქველმოქმედო ფონდ „იავნანასთან“ დაკავშირებაში, ოჯახმა ფონდიდან საჩუქრად საცხოვრებელი სახლი მიიღო.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ძალისხმევით სოციალურ პროგრამებს დაემატა სარეაბილიტაციო პროექტი, ძუმუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის, გამგეობის სამსახურმა კი უზრუნველყო მისი ცალკე პროგრამად ჩამოყალიბება. „გამარჯვებული ქალთა კლუბის“, კომისიისა და კომპანია „მარიგოლდის“

ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა საქველმოქმედო ღონისძიება „ჩვენ ყველგან ვართ“. შემოსული თანხა სრულად გადაეცა აღნიშნულ კლუბს.

2014 წელში კომისიის დეპუტატთა ჯგუფმა რამოდენიმეჯერ მოინახულა „უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის“, მათი პრობლემები გადაეცა განსახილველად მუნიციპალიტეტის გამგეობას. აღნიშნული პრობლემები გათვალისწინებული იქნა 2015 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს და გამოყოფილი თანხით სასადილოში რიგი პრობლემები მოგვარდა.

კომისიის წევრები შეხვდა სოციალური პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს, სხვადასხვა ომებსა და კომფლიქტებში მონაწილე პირებს მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლისა და მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით. კომისიის სახელით ფინანსური დახმარება გაეწია ჯიხეთის დედათა მონასტერს.

ამასთანავე, კომისიამ მოისმინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში შემავალ ა(ა)იპ დაწესებულებების 2014 წლის 9 თვის მუშაობის ანგარიში და ამავე დაწესებულებების წლიური ანგარიში, აღნიშნული ანგარიშები კომისიის მიერ მიღებულ იქნა ცნობად. მიმდინარე წელს კომისიამ მოისმინა ანგარიში ა(ა)იპ „კულტურის გაერთიანებათა ცენტრში“ მიმდინარე რეორგანიზაციის შესახებ, შედგა სამუშაო შეხვედრა კომისიის წევრებსა და აღნიშნული ა(ა)იპ-ის განყოფილების ხელმძღვანელებთან, მოსმენილ იქნა მათი პრობლემები რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ხოლო 2015 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიშის მოსმენის დროს დაფიქსირდა, რომ რეორგანიზაცია აღნიშნულ ცენტრში ისევ არ არის დასრულებული, ამ პრობლემის შესახებ კომისიამ არაერთხელ იმსჯელა და ეთხოვა გამგეობის შესაბამის სამსახურს პროცესის დროულად დასრულება, სამწუხაროდ ეს საკითხი ისევ მოუგვარებელია.

კომისია თავიდანვე სიღრმისეულად ჩაერთო „სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრში“ არსებული პრობლემების მოგვარების საკითხებში. კერძოდ, კომისიის წევრთა ჯგუფი ადგილზე ეცნობოდა საბავშვო ბაღებში არსებულ მდგომარეობას, ეწყობოდა შეხვედრები მომსახურე პერსონალსა და აღსაზრდელების მშობლებთან. კომისიისა და საკრებულოს სხდომებზე რეგულარულად ხდებოდა ცენტრში არსებული პრობლემების განხილვა და მათზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა.

2014 წელს სსიპ სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ შემოწმდა მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღები, გამოიკვეთა პრობლემები კვების ბლოკების სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით, დაწესებულებებს დაუდგინდა გარკვეული ვადები ხარვეზების გამოსასწორებლად და რადგან მათი აღმოფხვრა ვერ მოხდა დადგენილ ვადებში, მოსალოდნელი იყო საჯარიმო სანქციები. კომისიამ მოამზადა შუამდგომლობა აღნიშნულ სააგენტოსთან სამუშაოების გადავადებასთან დაკავშირებით, შუამდგომლობა გათვალისწინებულ იქნა პირველ ეტაპზე. ვინაიდან შესაბამისი სამუშაოები მაინც არ იქნა ჩატარებული ვადებში, დაჯარიმდა რამდენიმე საბავშვო ბაღი სოლიდური თანხით, ამჯერად სამუშაოები უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში.

ახლა კი შევხებით მუდმივმოქმედ კომისიას, რომელსაც საკრებულოს მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ესაა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე კომისიას ჩატარებული აქვს 18 სხდომა, კომისიამ როგორც გამგეობის სამსახურებიდან, ასევე საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები განიხილა, შეისწავლა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ამავე კომისიის მიერ იქნა მომზადებული შემდეგი სამართლებრივი აქტების პროექტები:

დადგენილების პროექტი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემის არმქონე იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე, სადაც არ მოქმედებს „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული სანქციები“.

დადგენილების პროექტი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, საჯარო აუქციონში მონაწილეობის ბილეთის ფასის ოდენობის განსაზღვრის, საჯარო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების თაობაზე“.

დადგენილების პროექტი - „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის თაობაზე“.

დადგენილების პროექტი - „გარე რეკლამის განთავსების, ნებართვის, შემოღების და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“.

ასევე კომისიის მიერ მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის წლების განმავლობაში არსებულ პრობლემურ საკითხებზე წერილები, რომლებიც ეხებოდა კოლხეთის ეროვნულ პარკს, ყოფილ საკოლმეურნეო ფართობებს, სს „ფოთი ტორფს“.

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილობით მომართა ლანჩხუთის მოსახლეობის მიერ შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა, რომლებიც მოითხოვდნენ საკრებულოს მიერ კოლხეთის ეროვნულ პარკსა და ყოფილ საკოლმეურნეო ფართობებზე მათი ინტერესებიდან გამომდინარე მომხდარიყო სწორი პოზიციის დაფიქსირება, აღნიშნული საკითხის შესწავლა დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივ საკითხთა კომისიას, რომელმაც ამ პრობლემატური საკითხების განსახილველად მოიწვია კომისიის სხდომა, ხოლო კომისიის მოთხოვნით, თითოეული თქვენგანის მონაწილეობით გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სესია, სადაც გადაწყდა, რომ ამავე კომისიას მოემზადებინა არგუმენტირებული წერილები კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიათა ჩამონათვალიდან 9800 ჰა, ასევე სახელმწიფოს სატყეო ფონდიდან ყოფილი საკოლმეურნეო ფართობების 2100 ჰა ამორიცხვის მოთხოვნით. წერილები გაიგზავნა საქართველოს მთავრობაში, პარლამენტში, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში სადაც უკვე მიმდინარეობს საკითხის მოკვლევა და გადაჭრის გზების ძიება.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2012 წელს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტომ გასცა ლიცენზია სს „ფოთი ტორფი“-ზე, რომელსაც მიეცა უფლება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტორფის მოპოვებაზე. ტერიტორია, რომელზეც ხდება მოპოვება ეკუთვნის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, ხოლო ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის თანხა შედის ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ამასთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრებმა ადგილზე

დაათვალიერეს აღნიშნული ტერიტორია, მოეწყო შეხვედრა სს „ფოთი ტორფის“ წარმომადგენლებთან, კომისიამ ინფორმაციის დასაზუსტებლად მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურის გურია-სამეგრელო, ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრს, ამის შემდეგ კომისიამ წერილობითი მიმართვა გაუგზავნა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომიტეტს, რათა დაგვხმარებოდა 2012 წელს სს „ფოთის ტორფზე“ გაცემული ლიცენზიის მოპოვებაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ მოსაკრებელის თანხა არ ჩაირიცხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

როდესაც ჩვენ პრობლემატურ საკითხებზე ვსაუბრობთ ძალიან აქტუალურია ავტომაგისტრალი სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის საკითხი, რაზედაც სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა, რომელთა საყანე ნაკვეთებზე გადის აღნიშნული ავტომაგისტრალი, უკმაყოფილებას გამოთქვამს სახელმწიფოდან მათზე გასაცემ საკომპენსაციო თანხების ოდენობაზე.

სწორედ ამ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მეშვეობით ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მოწვეული იქნა მათი წარმომადგენლები, რათა ერთობლივად მიღწეულიყო გარკვეულ შეთანხმებას.

მიუხედავად აღნიშნულისა და ასევე სხვა შეხვედრების ურთიერთშეთანხმება ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება, პირიქით მდგომარეობა დღითიდღე იძაბება. ვფიქრობთ, რომ აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სამინისტროს ჩართულობით გამოინახოს გზა პრობლემების გადაჭრისათვის. ჩვენის მხრივ მიგვაჩნია, რომ აუცილებელია საკრებულოს სხდომაზე შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის პრობლემას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამავე კომისიამ მოამზადა წერილები სამასალე და საშემე ხე-ტყის მოპოვებაზე დაწესებული გადაულახავი ბარიერების გამარტივებასთან დაკავშირებით. მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე არგუმენტირებულად დასაბუთებულია ყველა მათი მოთხოვნა, აღნიშნული გაეგზავნა შესაბამის უწყებებს პრობლემების გადაჭრის მიზნით.

კომისიამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად შეისწავლა და დაასურათა საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და მის ტერიტორიაზე არსებული ქონებები.

კოლეგებო, თუ გავითვალისწინებთ რომ ჩვენ ერთად მხოლოდ ერთი წელია ვსაქმიანობთ და ვიხილავთ საკრებულოს კომისიების საქმიანობას, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში ხუთივე კომისია, კომისიის წევრები მუშაობენ საკმაოდ დადებითად. მაგრამ არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ კომისიების საქმიანობა ბევრად უფრო ეფექტური იქნება, თუ ჩვენ ყველანი ერთად ბიუროც, საკრებულოს თავმჯდომარეც ვისწავლით საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლს. წინააღმდეგ შემთხვევაში რაც არ უნდა კარგი გადაწყვეტილება მივიღოთ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მას ვერ იგრძნობს.

უკვე გარკვეული პერიოდი გავიდა მას შემდეგ რაც ჩვენ განვიხილეთ და დავამტკიცეთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების წესი და გარე ვაჭრობის უფლების საფასურის დადგენის შესახებ დადგენილება, ასევე მნიშვნელოვანი პროექტი

იქნა მიღებული ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების თაობაზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M1, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე, ა(ა)იპიების რეორგანიზაციის თაობაზე. არცერთი აღნიშნული საკითხი ბოლომდე არ არის მიყვანილი. აუცილებელია აღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი პროექტების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციები მოსმენილ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიების საქმიანობის შესახებ უფრო დაწვრილებით ინფორმაციებს მოვისმენთ ოქტომბერ-ნოემბრის თვეში, როდესაც კომისიის თამჯდომარეები წარმოადგენენ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, ასევე ამავე პერიოდში დაგეგმილია საკრებულოს თითოეული წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

კოლეგებო, როგორც თქვენ იცით, საკრებულოსთან შექმნილია და ფუნქციონირებს ორი მუდმივმოქმედი კომისია. ერთ-ერთია „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“ (ლეგალიზაციის კომისია) დეპუტატ გიორგი ჩახვამის თავმჯდომარეობით. კომისიის ყველა წევრი შემოსულ თითოეულ განცხადებას ეკიდება დიდი პასუხისმგებლობით, ადგილზე მისვლით სწავლობს არსებულ მდგომარეობას, ასურათებს მიწის ფართობებს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს, იკვლევს ცალკეულ გარემოებებს, რათა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ მაქსიმალურად მოახდინოს მიწის ფონდის ათვისება. კომისია ორიენტირებულია დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნები მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულმა კომისიამ ათი თვის მუშაობის შედეგად განიხილა 100 განცხადება, ამათგან 49 დაკმაყოფილდა, გასცა 34 საკუთრების უფლების მოწმობა.

მეორე კომისია გახლავთ საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომელიც შეიქმნა კვალიფიციური და პროფესიონალი საჯარო მოხელეების შერჩევის მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გელა კილაძის თავმჯდომარეობით. კომისია დაკომპლექტებულია ღირსეული, პატიოსანი და თავისი საქმის პროფესიონალი ადამიანებისგან (ადამ ხუბუნაიშვილი, ელენე ნაჭყებია, ქეთევან სიხარულიძე, ტარიელ ჯიჯიშვილი).

საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ, რომელსაც პრეცედენტი არ გააჩნია ქვეყნის მასშტაბით, მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოშია შექმნილი. 2014 წელს ჩაატარა პირველი კონკურსი, სადაც საკრებულოს გამოცხადებული ჰქონდა ხუთი ვაკანტური თანამდებობა. როგორც იცით, კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად: საბუთების გადარჩევა, ტესტირება, გასაუბრება. ტესტირების ზღვარის პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ კომისიის მიერ შერჩეულ იქნა პიროვნებები, რომლებმაც დაწესებულ ზღვარზე გაცილებით მაღალი შეფასებები მიიღეს და ამავდროულად გასაუბრებაზეც დაიმსახურეს კომისიის წევრების მოწონება. ხუთივე თანამშრომლის მუშაობას დანიშნვიდან დღემდე მეც, დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობაც, ვაფასებთ დადებითად და წარმატებებს ვუსურვებთ მათ მომავალში.

ასევე მინდა მოგახსენოთ, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მიმდინარე წელსაც ჩაატარა კონკურსი საკრებულოში არსებულ ოთხ ვაკანსიაზე. ჩვენი შეხედულებით მეორე კონკურსიც ობიექტურად იქნა ჩატარებული, პრაქტიკიდან გამომდინარე გასაუბრებაზე საბოლოო შეფასების ფორმა იყო შეცვლილი, ხმათა უმრავლესობის ნაცვლად, შეფასების ფურცლებმა და შეჯამებულმა ქულებმა გადაწყვიტეს აპლიკანტთა ბედი. ესეც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია, რადგან შეფასების ფურცელში მკაფიოდ არის მითითებული თუ რა კრიტერიუმებით შეფასდა კონკურსანტები. ასევე კონკურსის მესამე ეტაპს გასაუბრებას ესწრებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი, რომელიც თვალყურს ადევნებდა და მონიტორინგს უწევდა კონკურსის მიმდინარეობას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომისიამ ორივე კონკურსის შემთხვევაში იმუშავა დამოუკიდებლად და წარმატებით გაართვა თავი ძალიან რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ არც ერთი კონკურსის შემთხვევაში აპლიკანტების მხრიდან საჩივარი არ დაფიქსირებულა. როგორც თქვენთვის ცნობილია ამჟამადაც მიმდინარეობს კონკურსი საკრებულოში არსებულ ოთხ ვაკანსიაზე.

როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გარდა კომისიებისა, დაფუძნებულია ასევე ფრაქციები, რომლებიც წარმოადგენს საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას და საკრებულოს საქმიანობის კოორდინაციის მიზნითაა შექმნილი. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 2015 წლის 27 თებერვალს დაიშალა ფრაქცია „დავით თარხან - მოურავი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და რიგგარეშე სხდომაზე, საკრებულომ ცნობად მიიღო სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დადებითი დასკვნა ფრაქცია „დამოუკიდებელის“ შექმნის თაობაზე, ამასთანავე 2015 წლის 30 ივნისს დაიშალა ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატები“ და 2015 წლის 31 ივლისს შეიქმნა საკრებულოში ახალი ფრაქცია „ლანჩხუთი - ევრო ატლანტიკური მომავლისათვის“.

ფრაქციების მიერ საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარებულია 35 სხდომა, მათ შორის 2014 წელს - 19, ხოლო 2015 წლის 14 ივლისამდე - 16. ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტების განხილვაში. ჩვენი თხოვნა და სურვილია, რომ მათ კიდევ უფრო აქტიურად განახორციელონ რეგლამენტით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, გამოხატონ და გაატარონ საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, წარმოადგინონ პროექტები ინიცირების წესით. ჩვენ ყოველმხრივ მხარს დავუჭერთ მათ ინიციატივებს.

პატივცემულო კოლეგებო, როგორც თქვენთვის ცნობილია, თვითმმართველობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია დემოკრატიული მმართველობის და მასში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა. სწორედ, მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 119-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი საზოგადოებრივი დარბაზი, რომელიც დაკომპლექტებულია ჩვენი მუნიციპალიტეტის თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან. დარბაზის წევრები, უფლებამოსილების ფარგლებში, ჩართული არიან საკრებულოს მუშაობაში, წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს, წინადადებებს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი დარბაზის წევრებთან ჩვენი ურთიერთობა, მაინც იშვიათ ხასიათს ატარებს. მიმაჩნია, რომ აუცილებელია საზოგადოების ყველაზე აქტიურ ჯგუფებსა და საკრებულოს წევრებს შორის მუდმივი, ეფექტური კავშირის

დამყარება. ერთად უნდა ვიმსჯელოთ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების თაობაზე. ვფიქრობთ, რომ აუცილებელი იქნება კიდევ უფრო მეტად გავაფართოვოთ საზოგადოებრივი დარბაზი, მეტი ადამიანი მოვიწვიოთ და შეხვედრებიც აქტიური და შედეგიანი გავხადოთ. მითუმეტეს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებით ჩვენ ვალდებულნი ვართ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფართო ჩართულობა ვუზრუნველყოთ.

როგორც ცნობილია, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფას ახორციელებს **საკრებულოს აპარატი**. მისი უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზება განსაზღვრულია საკრებულოს აპარატის დებულებით. საანგარიშო პერიოდში აპარატის თანამშრომელთა რაოდენობა რამოდენიმეჯერ შეიცვალა, განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც კონკურსის შედეგად არჩეულ იქნა ახალგაზრდა პერსპექტიული კადრები. საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან ცვლილებად უნდა ჩაითვალოს საკრებულოს აპარატში სამტატო ერთეულების დამატების საკითხი, კერძოდ აპარატს დაემატა მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში და საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის მთავარი სპეციალისტი, რის საჭიროება დღის წესრიგში ნამდვილად იდგა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გაწეული აქვს გარკვეული მუშაობა. თანამშრომელთა შორის ფუნქციები და უფლებამოსილებანი განაწილებულია სტრუქტურის მიხედვით. აპარატის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, ანალიტიკურ და საინფორმაციო მომსახურებას. აპარატის იურისტი გამგეობის შესაბამის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, სამართლებრივ ექსპერტიზას. საჭიროების შემთხვევაში ისინი იურიდიულ კონსულტაციას უწევენ საკრებულოს თითოეულ წევრს. საკრებულოს აპარატის მიერ მზადდება ბიუროსა და საკრებულოს სხდომების დღის წესრიგის პროექტები. აპარატს დიდი წვლილი შეაქვს საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციებისა და საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების სხდომების, აგრეთვე საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებაში; უნდა აღინიშნოს, რომ აპარატი ოპერატიულად ახორციელებს საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

**მთლიანობაში საკრებულოს აპარატის ხელშეწყობით** მომზადდა სამართლებრივი აქტების პროექტები, სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან გასაგზავნი წერილები, მიმართვები და სხვა დოკუმენტები (იხ. დანართი).

როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი ჩაერთო eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაში. პროგრამის მეშვეობით უფრო მარტივი გახდა საქმისწარმოება, ელექტრონული სისტემა თანამშრომლების მიერ სწრაფად იქნა ათვისებული და წარმატებით დაინერგა. ეს პროგრამა ერთგვარი კონტროლის მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოს დროულად შესრულებას. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს თანმდევნი შეფერხებები, რომელიც გამოწვეულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოუწესრიგებლობით. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოხდა რამოდენიმე კომპიუტერის შეძენა, თანამშრომელთა ნაწილი დარჩა კომპიუტერების გარეშე, რაც ხელს უშლის და აფერხებს ელექტრონულ ბაზაში მუშაობას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში გამართულ სხვადასხვა საქველმოქმედო, გასართობ, სპორტულ, თუ სხვა ღონისძიებებში, პროექტებში.

კოლეგებო, ალბათ ყველა თქვენთაგანს კარგად ახსოვს არასამთავრობო ორგანიზაცია „POST - ალიონი“ მედიასახლ „გურია NEWS“-თან პარტნიორობით ახორციელებდა პროექტს „აირჩიე დემოკრატია“. პროექტის ფარგლებში, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსაწავლეები გაეცნენ ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობას, მოსწავლეები დაესწრნენ საკრებულოს რიგგარეშე სხდომას, კომისიის გასვლით სხდომას, მათ შეხვედრები ჰქონდათ საკრებულოს თავმჯდომარესთან და ბიუროს წევრებთან.

ვფიქრობთ ასევე საინტერესო და სასარგებლო პროექტია „ახალგაზრდული საკრებულო - 2015“, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდება. ჩვენ მუნიციპალიტეტშიც საკმაოდ საინტერესოდ, შემოქმედებითად მიმდინარეობს აღნიშნული პროექტი. ახალგაზრდები გაეცნენ საკრებულოს რეგლამენტს, კომისიების დებულებებს, რამოდენიმეჯერ ჰქონდათ შეხვედრები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით აირჩიეს ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიის თავმჯდომარეები და სხვა. მოსწავლეებს მრავალი საყურადღებო წინადადებები, ინიციატივები აქვთ. ვფიქრობთ, საკრებულოს ყველა წევრი მხარს დაუჭერთ მათ ყოველ წამოწყებას.

აღსანიშნავია საქველმოქმედო აქციებში საკრებულოს წვლილი. საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ საქველმოქმედო ღონისძიებებში. თითოეული დეპუტატი, აპარატის თანამშრომელი გაერთიანებულია საქველმოქმედო ფონდ „სოლიდარობაში“ და ხელფასიდან ფონდში რიცხავს გარკვეულ თანხას.

ამასთან, მუნიციპალიტეტის გამგეობასთან ერთად საკრებულო აქტიურ დახმარებას იჩენს ეკლესია-მონასტრების მიმართ, მისასალმებელი და აღსანიშნავია, რომ საკრებულოს წევრთაგან გიორგი ჩახვაძე, ჯუმბერ ბლაგიძე და აპარატის თანამშრომელი ნიკოლოზ კოხანაშვილი გახლავთ სტიქაროსნები, არ შეიძლება, არ აღინიშნოს დეპუტატ კახაბერ გუჯაბიძის ღვაწლი სამება-ჯიხეთის დედათა მონასტრის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარების კუთხით. რელიგიის მხარდასაჭერად თვითმმართველობის ბუჯეტიდან საანგარიშო პერიოდში გადარიცხულია სულ 50447 ლარი.

ჩვენმა მუნიციპალიტეტმა გარკვეული წვლილი შეიტანა თბილისში 13 ივნისს სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულთა დასახმარებლად, ლანჩხუთიდან 3 ტონაზე მეტი ტვირთი გაიგზავნა. დაზარალებულთა ფონდს გადაეცა სხვადასხვა პირველადი მოხმარების ნივთები, გადაირიცხა ფულადი თანხა 1675 ლარის ოდენობით, საკრებულოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლების მიერ. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს თითოეული საკრებულოს წევრის გულისხმიერება, თანადგომა, ერთსულოვნება. სულ რაღაც დღენახევარში თანხა უკვე გადარიცხული იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მინდა მოგიხადოთ ყველას დიდი მადლობა.

მოგეხსენებათ, ჩოხატაურში 13 ივნისის სტიქიის დროს დაღუპული ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკა გაიხსნა. მუნიციპალიტეტის საკრებულომ და აპარატმა აქაც მოკრძალებული წვლილი შეიტანა აღნიშნულ საქმეში, წიგნები და 500 ლარის ოდენობის თანხა გადაეცა ბიბლიოთეკას.



თითოეული თქვენგანის გულისხმიერება და თანადგომა კიდევ ერთხელ განსაკუთრებით გამოჩნდა მაშინ, როდესაც ჩვენი საკრებულოს ერთ-ერთი წევრის ჯანმრთელობა, შეიძლება ითქვას სიცოცხლე საფრთხის წინაშე იდგა. აქაც კაცობამ და მეგობრობამ, თანადგომამ გაიმარჯვა.

მე მიხარია და სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საკრებულოს თითოეული წევრი, მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა, როცა საჭირო და აუცილებელია ყოველთვის ვახერხებთ ერთმანეთის გვერდით დგომას, ურთიერთმხარდაჭერას. ასეთ საკრებულოს კი გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად.

უნდა აღინიშნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრების ქველმოქმედებაც. კომისიის წევრები საკუთარი სახელფასო ფონდიდან სხვადასხვა სახის დახმარებას ინტენსიურად უწევენ დღის ცენტრ „იავნანას“ და ლანჩხუთელ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს. ლანჩხუთში დაარსებულ ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაცივე ქალთა გაერთიანება „გამარჯვებულ ქალთა კლუბს“, აღსანიშნავია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქტიური მხარდაჭერა კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებების დროსაც.

საკრებულო აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია ფოლკლორის საერთაშორისო საბავშვო და ახალგაზრდული ფესტივალის „კავკასია 2015“-ის დამაგვირგვინებელი ღონისძიება, რომელიც მიმდინარე წლის 8 ივლისს ლანჩხუთში გაიმართა. ფესტივალში 5 სხვადასხვა ქვეყნის 1 000-მდე ბავშვი მონაწილეობდა, რაც ევროპული და მეზობელი ქვეყნების კულტურის გაცნობის და დაახლოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ. „კავკასია-2015“-ის ფარგლებში ლანჩხუთის თეატრში მოეწყო უნიკალური ქორეოგრაფიული დოკუმენტური ფოტომასალის გამოფენა, ასევე კონფერენცია და ფილმის ჩვენება, რომელიც ქორეოგრაფიის უახლოეს ისტორიას ასახავდა. ფესტივალის მონაწილეებმა მსვლელობა მოაწყვეს ქალაქში, ლანჩხუთის ცენტრი ულამაზესი ღონისძიების ეპიცენტრად იქცა. საღამო გალა კონცერტით დასრულდა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ღონისძიებას დიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ასევე აღსანიშნავია 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ცენტრალურ პარკში მოწყობილი ღონისძიება სპორტის სხვადასხვა სახეობებში და სხვა.

საკრებულოში მიმდინარე პროცესები აქტიურად ქვეყნდება სამ ადგილობრივ და ორ რეგიონალურ ბეჭდურ მედიაში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტს აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი [www.lanchkhuti.org.ge](http://www.lanchkhuti.org.ge) და სოციალურ ქსელში (facebook.com) მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდი, სადაც ყოველდღიურად ქვეყნდება საკრებულოში მიმდინარე ყველა ის ღონისძიება, რომელსაც საკრებულოს თითოეული წევრი ახორციელებს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ვეისბუქ გვერდი ერთი თვეა შეიქმნა. აღნიშნულ გვერდზე აქტიურად ქვეყნდება საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიების, ფრაქციების სხდომები და ყველა ის ღონისძიება, რაშიც საკრებულოს წევრები ღებულობენ მონაწილეობას. სოციალურ ქსელში გვერდის შექმნით მოსახლეობის ინტერესი და ჩართულობა გაიზარდა, რასაც ადასტურებს გვერდის ხილვადობის სიხშირე.

ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რომლის ფუნქციონირებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყოფს, საკრებულოს შესახებ

ამომწურავი ინფორმაციაა განთავსებული. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

კოლეგებო, დამერწმუნებით ალბათ, რომ საკრებულოს ნორმალური, წარმატებული საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირთა ურთიერთდამოკიდებულებაზე. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა, მუნიციპალიტეტის გამგებელთან ბატონ ზაზას ურუშაძესთან ძალზე მეგობრული, საქმიანი და მე ვიტყვოდი წარმატებაზე ორიენტირებული დამოკიდებულება მაქვს არა მარტო მე, არამედ ბატონ გელა კილაძეს, ბიუროს წევრებს, მაჟორიტარ დეპუტატებს და საერთოდ ყველა საკრებულოს წევრს. გამგებელი სისტემატიურად ესწრება და აქტიურ მონაწილეობას იღებს საკრებულოს და ბიუროს სხდომებზე და სხვა ნებისმიერ ჩვენს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. ასეთივე ურთიერთობა გვაქვს ჩამოყალიბებული გამგეობის სხვა სამსახურებთან. ერთადერთი რაც შეიძლება ვთქვათ ის არის, რომ გამგეობის შესაბამისმა სამსახურებმა მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ საკრებულოდან გაგზავნილ ოფიციალურ მიმართვებს, წერილებს, დროულად უნდა წარმოადგინონ ბიუროს სხდომაზე განსახილველი საკითხები და დღენიადაგ იზრუნონ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭირობო საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების, დადგენილებების აღსრულებისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, საკრებულოს წევრებს შესანიშნავი, მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ საქართველოს პარლამენტის წევრთან, ჩვენს მაჟორიტარ დეპუტატთან, ბატონ თემურ ჩხაიძესთან.

და ბოლოს მინდა აღვნიშნო, მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციებისა, მაინც მიმაჩნია, რომ ჩვენს საკრებულოს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ამისათვის საჭიროა პირველ რიგში, საკრებულოს თავმჯდომარემ გამოიჩინოს მეტი პასუხისმგებლობა, მეტი ინიციატივა და პრინციპულობა. ბიუროსა და თითოეული საკრებულოს წევრთან ერთად, მუნიციპალიტეტის გამგებელთან, სხვა აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთთანამშრომლობით, ერთობლივი ძალისხმევით ნამდვილად შევძლებთ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების დაძლევას, მოგვარებას.

საკრებულოს აპარატის ხელშეწყობით მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტები, სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან გასაგზავნი წერილები, მიმართვები და სხვა დოკუმენტები:

- მუნიციპალიტეტის გამგეობიდან და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსულია 394 პროექტი, მათ შორის: **2014 წელს** – 213, **2015 წელს** – 181 შესაბამისად მიღებულია გადაწყვეტილებები (ბრძანება, განკარგულება, დადგენილება);

- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსულია 31 განცხადება, მათ შორის: **2014 წელს** – 18, **2015 წელს** – 13. დაკმაყოფილდა ყველა.

- რაიონს გარეთ საკრებულოდან გაგზავნილია - 147 წერილი, მათ შორის: **2014 წელს** – 108, **2015 წელს** – 39.

- საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ გამგეობაში გაგზავნილია 210 წერილი, მათ შორის: **2014 წელს** – 74, **2015 წელს** – 136.

- შემოსულია 145 განცხადება, მათ შორის: **2014 წელს** – 86, **2015 წელს** – 59. დაკმაყოფილებულია ყველა (შვებულება, ხელფასის ცნობა, საკრებულოს სხდომაზე დასწრება, სამუშაო ადგილის შესახებ ცნობა).

- საკრებულოდან საკრებულოს თემჯდომარის მიერ გამგეობაში გაგზავნილია 83 წერილი, მათ შორის 2014 წელს 74, 2015 წელს -9.

- რაიონს გარეთ ორგანიზაციებიდან შემოსულია 255 წერილი, მათ შორის 2014 წელს 210, 2015 წელს -45.

- რაიონული ორგანიზაციებიდან შემოსულია 159 წერილი, მათ შორის 2014 წელს 85, 2015 წელს- 74.